პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

28 თებერვალი, კვირა, 1988 წ.
№ 42 (9709) ◎ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

**გუშინ** თბილისის სახელმწიფო ცირკის არენაზე საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრიზზე ქართულ ჭიდაობაში გამართული შეხვედრები ასე დამთავრდა: ბაზალეთი (დუშეთი) — ნორიო (გარდაბანი) — 7:2, გორგიწმინდა (საგარეჯო) — ახალსოფელი (ყვარელი) — 8:1, მეტეხი (კასპი) — ჭანდარი (გურჯაანი) — 9:0.

საქართველოს ქალაქების უბნებსა და სოფლებს შორის ამ რესპუბლიკური პირველობის შემდეგი შეხვედრები უნდა გაიმართოს მომავალ შაბათს, 5 მარტს. ფალავნები კვლავ თბილისის სახელმწიფო ცირკში შეიკრიბებიან.



ჩვენში ქალთა ძიუდო ფაქტიურად ახლა იკიდებს ფეხს და შეჯიბრებებში ჯერჯერობით ძალზე ბევრია მოულოდნელობები, გამარჯვებულთა შორისაც ხშირად ვხვდებით ახალ სახელებს. მოკლედ, ნაცნობი გარემოებაა, რომელიც ჩვეულებრივ, სპორტის ახალი სახეობის განვითარების საწყის ეტაპს ახასიათებს. თვითონ ქალების ჭიდაობაც, ოსტატობაზე არაფერს ვამბობთ, ბრძოლის მანერით განირჩევა ვაჟებისაგან: თითქოს უფრო მეტი აზარტია და გამარჯვების სურვილი, მეტია ემოციური ხაძაბულობაც.

სწორედ ამ ნიშან-თვისებებით ხასიათდებოდა საქართველოს ღია პირველობა გოგონათა შორის, რომელსაც თბილისის განათლების სამმართველოს ჭიდაობის სპეციალიზებული სპორტული სკოლის დარბაზმა უმასპინძლა. სურათზე ამ შეჯიბრების ერთ-ერთ ეპიზოდს ხედავთ (დაწვრილებით მასალას ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ).

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

პრეტენდენტ ქალთა ტურნირში გამარჯვებულების ნანა იოსელიანისა და ელენა ახმილოვსკაიას დამატებითი მატჩი

## ღირსეული მეტოქე

**როგორც** იცით, მატჩში საბოლოო გამარჯვების მისაღწევად ნანა იოსელიანს ნახევარი ქულაც ჰყოფნიდა, ამიტომაც მეხუთე პარტიის სათამაშოდ იგი კონკრეტული მიზნით გაეშურა და შეიძლება ითქვას, აულელვებლად შეასრულა თავისი პროგრამა-მინიმუმი.

მეხუთე პარტიაში გათამაშდა სამი მხედრის დებიუტი. იოსელიანი თავიდანვე მშვიდი თამაშისთვის იყო განწყობილი. სამაგიეროდ სულ სხვა მიზნები ამოძრავებდა ელენა ახმილოვსკაიას — მას აუცილებლად უნდა მოეგო ეს პარტია, რათა მატჩში გამარჯვების იმედი ჰქონოდა, მაგრამ მან ეს ვერ მოახერხა. ის კი არა და, იოსელიანმა თავისი თამაშის გეგმა მოახვია თავს მეტოქეს, დაეუფლა ინიციატივას და მოიგო პაიკი.

პარტია სწრაფად გადავიდა ენდშპილში და მეტოქეებს თითო ეტლი დარჩათ, მაგრამ მატერიალური უპირატესობა, როგორც უკვე ვთქვით, იოსელიანის მხარეზე იყო. ნანას ყაიმიც აძლევდა ხელს, მას აღარ უცდია თამაშის გამწვავება და პარტიის გამარჯვებამდე მიყვანა. ასეც მოხდა, 47-ე სვლაზე პარტია ყაიმით დამთავრდა და ნანა იოსელიანი მატჩში გამარჯვებულად გამოცხადდა. სპეციალისტების ერთსულოვანი აღიარებით, მაია ჩიბურდანიძეს ღირსეული მეტოქე შეხვდა.

ინტერვიუს წყალტუბოს ტურნირში გამარჯვებულთან „ლელოს" უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.

„ლელოს" სპეც. კორ.



არაერთხელ დაიწერა და ითქვა, რომ რესპუბლიკური პირველობები მაღალ დონეზე უნდა ტარდებოდეს. მაგრამ, კვლავ გვხვდება გულგრილობისა და „შინაური" შეჯიბრებებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების ფაქტები. სამწუხაროდ, ახლახან ბაკურიანში გამართული მოთხილამურეთა რესპუბლიკური შეჯიბრებაც დაბალ დონეზე ჩატარდა.

იხ. მე-4 გვ.

## კამათი დასასრულს უახლოვდება

**სარედაქციო ფოსტაში კვლავ გვხვდება წერილები, სადაც მკითხველები აზრს გვიზიარებენ საქართველოს პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოებისთვის მოხდენილი სახელის შერჩევასთან დაკავშირებით.**

— ზოგიერთ რესპუბლიკაში პროფკავშირულმა სპორტულმა საზოგადოებამ შეინარჩუნა ეროვნული სახელები, მაგალითად, „კალევი", „ქალგირისი", „დაუგავა", „ზახმეტი", ჩვენს ახალშექმნილ სპორტსაზოგადოებასაც დავუტოვოთ ერთ-ერთი ადრინდელი სპორტსაზოგადოების სახელი **„განთიადი"** — გვწერს საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი ი. ბოჭორიძე.

ინჟინერი ნიკო ტეტელაშვილი თავის მოსაზრებას ასე აყალიბებს: „მექსიკელებმა, ამ ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები უძველესი ტომის აცტეკების სახელი უწოდეს თავიანთ დიდ და ლამაზ სტადიონს. არარატის მთა თურქეთში მდებარეობს, მაგრამ სომხეთის ფეხბურთელთა გუნდს სწორედ ეს სახელი ჰქვია. მერე რა, რომ „იბერია" ესპანეთის ავიაკომპანიაა. ერთი სიტყვით, მე მხარს ვუჭერ **„იბერიას"**. შემდეგ გ. ტეტელაშვილი დასძენს, რომ მის მოსაზრებას იზიარებენ აგრეთვე ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი გ. შუშანაშვილი, იურისტი ა. გეგეჭკორი, პედაგოგი გ. ორახელაშვილი და სხვები.

— დამიჯერეთ, ყველაზე მოხდენილი სახელი იქნება „ივერია" — ეს სახელი წმინდა ეროვნულია, ჟღერადია, კარგად წარმოითქმება. დიდი ილიას „ივერია" გაიხსენეთ, განა ის ვერ მოისაზრებდა უკეთესი. სახელის შერჩევას?. ასე რომ, სამართლიანი იქნება თუ ახალ სპორტულ საზოგადოებას „ივერიას" ვუწოდებთ — გვწერს გ. ქემოკლიძე ამბროლაურიდან.

მაშ ასე, ახლოვდება საქართველოს ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების პირველი ყრილობა და დასასრულს უახლოვდება კამათიც, თუ რა ეწოდოს ახალ სპორტულ საზოგადოებას.

## კვირიდან კვირამდე

**„პრავდა" — 22 თებერვალი.** საბჭოთა დიდოსტატების წარუმატებელმა გამოსვლამ პრეტენდენტთა მატჩებში ჭადრაკის მოყვარულთა სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია. ამ მტკივნეულ საკითხზე ესაუბრება მკითხველს საერთაშორისო დიდოსტატი ა. სუეტინი სტატიაში „კვლავ ქიში გამოგვიცხადეს".

**„სოვეტსკაია კულტურა" — 25 თებერვალი.** „სპორტი, სპორტი, სპორტი!" „ამას წინათ საბჭოთა კავშირის კალათბურთელთა ნაკრები პირველად შეხვდა პროფესიონალთა გუნდს „მილუოკი ბაქსს". თამაშის რეპორტაჟი გადასცა 44-მა ქვეყანამ, ჩვენ კი 45-ე აღმოვჩნდით. რატომ მოხდა ეს?" ასეთი შეკითხვით მიმართა ერთმა მკითხველმა გაზეთს.

**27 თებერვალი.** დასვენება სრულიად არ ნიშნავს უმოქმედობას. ამ თემას ეხება სტატია „დასასვენებლად — მთებში", რომელიც ქვეყნდება რუბრიკით „კლუბი „ჯანმრთელობა".

**„სოვეტსკი სპორტი" — 23 თებერვალი.** „წაგების უფლება?" საბჭოთა ფეხბურთელთა ნაკრები დიდი ხანია ისეთი დიდი ანგარიშით არ დამარცხებულა, როგორც „სკუადრა აძურასთან" ბარიში — 1:4. გაზეთის კორესპონდენტი ესაუბრება ნაკრების მთავარ მწვრთნელს ვ. ლობანოვსკის.

**26 თებერვალი.** „ზამთრის მოტივები თებერვალში". წელს გაიმართება სტუდენტთა ზამთრის საკავშირო თამაშების ფინალები. რა მიზნებს ისახავს ეს ღონისძიება? გვესაუბრება თამაშების მთავარი მსაჯი, პროფკავშირების საკავშირო სპორტული საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მ. ელისეიკინი.

**27 თებერვალი.** რუბრიკით „უგრიმო პორტრეტი" იბეჭდება წერილი „უკანასკნელი მცველი", რომელიც მოსკოვის „სპარტაკის" მოთამაშე სერგეი ბაზულევს ეხება.

**27 თებერვალი.** „ფლამანდიური საჩუქარი". ქ. მაეეიკას სტატიაში გაეცნობით მინსკის „დინამოს" მეტოქეს ბელგიის „მეჰელენს."



ბალავერი







თელავში სპორტული კომპლექსის გახსნით საგრძნობლად გამოცოცხლდა მოზარდთა შორის სპორტული და გამაჯანსაღებელი მუშაობა. ამ სურათებზე, რომელიც ჩვენმა სპეციალურმა კორესპონდენტმა ალექსანდრე კოტორაშვილმა გადაიღო, კალათბურთელთა და ფრენბურთელთა ვარჯიშის მომენტებია ასახული.

## 25 წელი დიდ ესტრადაზე

**ზუსტად 100 წლისანი იყვნენ მაშინ, „ორერა“ რომ შეიქმნა. ცხადია, ოთხივე ერთად აღებული. დღეს ამ „არითმეტიკით“ 169 წლისანი არიან. მაგრამ ეს პარალელი ერთობ პირობითია — „ორერას“ ძველი შემადგენლობიდან ხომ მხოლოდ ორი წევრი შემორჩა — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები თეიმურაზ დავითაია (იგი ანსამბლში მისი დაარსებიდან გამოდის) და გენო ნადირაშვილი (24 წელიწადია მღერის „ორერაში“). აი, დანარჩენი ორი წევრი კი გვიან მოვიდა კვარტეტში — დავით ხხირტლაძე 8 წლის წინ, ხოლო ვახტანგ კუცია სულ მეორე წელიწადია...**

**რეპეტიციაზე სპორტული გაზეთის კორესპონდენტის სტუმრობას ანსამბლი არ გაუკვირვებია — წარსულში ოთხივე სპორტსმენი იყო და სპორტთან დღესაც მეგობრობენ...**

**გამოგიტყდებით, კარგა ხანია გვინდოდა „ორერაზე“ დაგვეწერა, მაგრამ თბილისში მისი მოხელთება, ხშირი გასტროლების გამო, ვერა და ვერ ხერხდებოდა.**

**ახლა კი, მართლაც ოთხივე ერთად „გაეხვია ბადეში“ — ოთხივეს ერთად შევხვდით რეპეტიციის დროს... „დინამოს“ სტადიონზე. რედაქციის დავალებით სულ სხვა საქმეზე მისულნი, გავოცდით, როდესაც შევიტყვეთ, რომ „ორერა“ ახალი წლიდან ჩვენი მთავარი სტადიონის ოსტატთა კლუბში გადის ყოველდღიურ რეპეტიციას. ახალ, საიუბილეო პროგრამას ამზადებს. ჩვენც ვისარგებლეთ შემთხვევით. სამსაათიანი რეპეტიცია აი, ამ ინტერვიუთი დამთავრდა.**

# „ორერა“... უმიკროფონოდ

**⊙ როდისაა „ორერას“ იუბილე, რით გაგვახარებთ ქართული ესტრადის მოყვარულთ?** — პირველი კითხვით მივმართეთ ანსამბლის ხელმძღვანელს **გენო ნადირაშვილს.**

— „ორერას“ 25 წლისთავის აღსანიშნავი დღეები აპრილ-მაისში გვექნება ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში. ახალ პროგრამას ვამზადებთ, ცხადია, ძველი, საიუბილეო ნომრების ჩართვით. სცენარს სპეციალურად ავთანდილ გელოვანი და ჯემალ ბაღაშვილი წერენ. ჩვენს კონცერტებში გამოვლენ ნანი ბრეგვაძე, ვახტანგ კიკაბიძე, ქართლოს კასრაძე, „ორერას“ პირველი ხელმძღვანელი რობერტ ბარძიმაშვილი. დღეს მეტს ნუ მათქმევინებთ, დაიცადეთ... ორიოდე თვე.

**⊙ ვიცით, რომ თავის დროზე ოთხივე ნიჭიერი სპორტსმენი იყავით, მაგრამ „დინამოზე“ რა უნდა „ორერას“?**

— ჩვენი საკუთარი ბინა — „ორერას“ შემოქმედებით ლაბორატორიას რომ ვეძახდით — ძველი ფილარმონიის შენობაში პლეხანოვზე აღარ გვაქვს. დინამოელებმა, ჩვენმა ძველმა გულშემატკივრებმა, თავისთან შეგვიკედლეს. სტადიონის დირექცია ყოველმხრივ ხელს გვიწყობს.

**⊙ „ორერაში“ თავდაპირველად მღეროდნენ რობერტ ბარძიმაშვილი, ზურაბ იაშვილი, თამაზ ფანჩვიძე, თეიმურაზ დავითაია, მერე ანსამბლში მოვიდნენ ვახტანგ კიკაბიძე, ვალერი ლომსაძე, გამოდიოდა თქვენთან ნანი ბრეგვაძეც. დღეს ანსამბლი სანახევროდ გადახალისდა. ოსტატობა, შეხმატკბილება, ეროვნულობა, ხალხურობა, თუ გნებავთ, საკუთარი ხელწერა კი არ დაკარგულა. გვერწმუნეთ, ქართული ესტრადის ძველი თაყვანისმცემლებისათვის ეს ძალზე სასიამოვნო ფაქტია.**

— გმადლობთ ამ სიტყვებისათვის. პირდაპირ გეტყვით, „ორერას“ დანიშნულებაც სწორედ ეს არის.

**⊙ მართალია, ერთად მღერიხართ, მაგრამ ინტერვიუსათვის, ალბათ, უნდა „გავყოთ თქვენი ხმები“. შევთანხმდეთ: თითოეულმა ჯერ, ასე ვთქვათ, „მოკლე ბიოგრაფია“ გვიამბოს, მერე კი... „ჩემპიონობის“ ამბავი სპორტში.**

მაშ ასე:

**გენო ნადირაშვილი:** თავიდანვე გეტყვით, რომ „ორერას“ არც ერთ წევრს არა აქვს მიღებული სპეციალური ვოკალური განათლება, აი, მუსიკოსების (ფორტეპიანო, კონტრაბასი, გიტარა და ა. შ.) დიპლომები კი ყველას გვიდევს ჯიბეში. მიუხედავად ამისა, ოთხივე ვმღერით, პირადად მე უკვე სამი ათეული წელია. თავდაპირველად გიორგი გაბესკირიას ჯაზში გამოვდიოდი, მერე „რეროში“ კონსტანტინე პევზნერთან, დღეს კი „ორერას“ ერთ-ერთი ვეტერანი ვარ.

...გაიოზ ჯეჯელავამ მეხუთეკლასელები შოთა იამანიძე და მე სახელგანთქმულ 35-ე საფეხბურთო სკოლაში მიგვიწვია, ერთ მერხზე ვისხედით. სწავლით ხომ ფრიადზე სწავლობდა, ფეხბურთში კი თავიდანვე ოსტატი იყო — ბურთს ვერ აართმევდი. შესანიშნავი მწვრთნელები გვყავდა მაშინ — ძმები ჯეჯელავები, არჩილ კიკნაძე, მიხეილ ბერიძენიშვილი, ჯონდო შავდია, ოტია ყორდანია, ვალოდია გვარჯალაძე. მე დაცვაში ვთამაშობდი და, როგორც მეუბნებოდნენ, იმედს ვიძლეოდი, მაგრამ ესტრადამ გადამძლია. ფეხბურთს მაინც არ ვღალატობ — „ორერაში“ ფეხბურთის გუნდი გვყავს ჩამოყალიბებული — 11 ძირითადი მოთამაშე და 4 სათადარიგო ...მათ შორის ქალიც. საკუთარი ფორმა გვაქვს, შიპებიანი კედებიც. თუ მინი-ფეხბურთს ვთამაშობთ, კვარტეტი ძირითად შემადგენლობას წარმოადგენს. როგორც მოგახსენეთ, მე მცველი ვარ, თემო დავითაია ჩვენი გუნდის კაპიტანია, ცენტრალურ თავდამსხმელად თამაშობს, დათო სხირტლაძე მეორე მცველია, აი ვახტანგ კუცია კი ნახევარმცველი. დაუღალავია, კარგი სისწრაფე აქვს. მოგეხსენებათ, სულ რედაქციებში დადის თავისი კარიკატურებით. მრავალი საერთაშორისო მატჩი გვაქვს ჩატარებული (დიახ, ბრჭყალების გარეშე — „ორერა“ ხომ ხშირადაა საზღვარგარეთ გასტროლებზე) — ნეპალში, მალტაზე, შრი-



ლანკაში, კოსტა-რიკაში, იემენში, ფინეთში, კუბაში, წარმოიდგინეთ, მექსიკაშიც კი. ყველა შეხვედრა მოვიგეთ, აი, იემენში კი ფრედ (1:1) ვითამაშეთ... ცხადია, აქაც ადგილობრივ მოყვარულებთან. ერთხელ კიშინიოვში გასტროლებისას ზედიზედ დავამარცხეთ რამდენიმე გუნდი. ბოლო თამაშის შემდეგ მეტოქენი კონცერტზე დავპატიჟეთ, მხოლოდ არ ვუთხარით, რომ ჩვენ გამოვდივართ. სცენაზე რომ დაგვინახეს, გაოცდნენ — მართლა ფეხბურთელები გვეგონეთო!

**თეიმურაზ დავითაია:** ქართული ესტრადა... ბაკურიანში შემიყვარდა. ზაფხულში გახლდით იქ პატარაობისას. ბიჭებმა მითხრეს, საღამოს პარკში მოდიო. იქ ედუარდ სეფაშვილი და სოსო იბრალიძე მღეროდნენ. მაშინ აღმძრა სურვილი მეც საესტრადო მომღერალი გამოვსულიყავი, შეიძლება ითქვას, სეფაშვილი და იბრალიძე გახდნენ ჩემი პირველი მუსიკალური მასწავლებლები. მალე უცხო ენათა ინსტიტუტში შევედი და მის ვოკალურ კვარტეტში გამოვედი, მერე კი „ორერაში“ მოვხვდი.

...მეც 35-ე სკოლა დავამთავრე, მამაჩემი იქ ჯერ სასწავლო ნაწილის გამგე იყო, მერე კი — დირექტორი. იმხანად საფეხბურთო სკოლისათვის საინტერესო საზაფხულო (ორ-სამთვიანი) შეკრებები იმართებოდა ბაკურიანში. ფეხბურთის მომავალი ოსტატები ვარჯიშობდნენ მაშინ ჩვენს სკოლაში — ზაურ კალოევი, შოთა იამანიძე, დოდიკ ხუნდაძე, ალიოშა კოტრიკაძე, შოთა კიტია, შალიკო კაკაბაძე. მიხაროდა, რომ მათთან მეც ვვარჯიშობდი. საკმაოდ სწრაფი ვიყავი, ნახევარმცველად ან გარემარბად მაყენებდნენ. პარალელურად მძლეოსნობაზეც დავდიოდი ანდრო ბედუკაძესთან . ერთად მწვრთნელ ვალენტინ ლაბუნსკისთან. ცურვაც მომწონდა, მაგრამ „დინამოს“ აუზზე არ მიმიღეს, ჯგუფი შევსებულიაო. ბედნიერი ვარ, რომ ჩემი შვილი მაინც გამოვიდა მოცურავე — შოთა ახლა 15 წლისაა, ოსტატობის კანდიდატია, რესპუბლიკის ნაკრების წევრი გახლავთ. ისევ ჩემს ფეხბურთელობას დავუბრუნდეთ: რესპუბლიკის ჭაბუკთა და ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდებში ვთამაშობდი მიშა მესხთან, სერგო კოტრიკაძესთან, ანზორ კავაზაშვილთან, ბორის სიჭინავასთან.. ზურაბ სოტკილავასთან, სოსო ლალიძესთან ერთად, მწვრთნელებად არჩილ კიკნაძე და გიორგი ანთაძე მუშაობდნენ. მერე ტოდო-ში ჩამრიცხეს, ნესტორ ჩხატარაშვილი და ილია ლობჟანიძე რომ ავარჯიშებდნენ. 35-ე სკოლაში ყოფნისას ჩვენი მუდმივი მეტოქე „ნორჩი დინამოელი“ იყო, გრიგოლ გაგუა რომ ედგა სათავეში. თუ რომელიმე გუნდში ვინმე მოეწონებოდა, უსიტყვოდ გამოელაპარაკებოდა, თამაშს შეუქებდა, შეცდომებზეც მიუთითებდა. კმაყოფილი ვარ, რომ ამ ცნობილმა სპეციალისტმა მეც რამდენჯერმე გადმომხედა მოწყალებისა და მზრუნველის თვალით, რისთვისაც მისი მუდამ მადლობელი ვიყავი. გაგუასათვის უცხო იყო ე. წ. ვიწრო უწყებრიობა — მისთვის მხოლოდ ერთადერთი ცნება არსებობდა „ქართული ფეხბურთი!“ დამავიწყდა მეთქვა, რომ უცხო ენების ინსტიტუტში ფეხბურთსაც ვთამაშობდი ცნობილ ხელბურთელებთან ჯემალ ცერცვაძესთან, ანზორ ქსეულიძესთან, ლერი კარტოზიასთან ერთად. პირველ თანრიგს მივაღწიე, მეტი ვერ შევძელი!

...უნდა გითხრათ, ყველაზე მეტად ჩვენს კვარტეტში სპორტი **ზურიკო იაშვილს** უყვარდა: იგი ნიჭიერი მოფარიკავე იყო, პირველთანრიგოსანი. შეიძლება ითქვას, იგი „ორერას“ სპორტული დამრიგებელიც გახლდათ — დილით ადრე „აგვაგდებდა“ ხოლმე სავარჯიშოდ. ფეხბურთის ფორმაც მან გვიყიდა, „დინამოს“ თამაშს ანა როგორ გააცდენდა თუ თბილისში ვიყავით. ერთხელ ქარელში გასტროლებისას კონცერტის წინ სტადიონზე წაგვიყვანა [illegible] და ახალციხის ფეხბურთელთა მატჩზე. ეს კიდევ არაფერი: ნიუ-იორკში ყოფნისას ბრაზილიის „სანტოსისა“ და აშშ-ის „კოსმოსის“ შეხვედრაზე ბილეთების შოვნა მოახერხა. თუ გახსოვთ, ეს იყო პელეს გამოსათხოვარი მატჩი და ერთდროულად ბეკენბაუერის დებიუტი „კოსმოსში“. ფეხბურთის მეფემ პირველი ტაიმი „კოსმოსში“ ითამაშა, მეორე კი — მშობლიურ „სანტოსში“. ზურიკო რომ არა, ამ მართლაც „საუკუნის მატჩს“, ცხადია, ვერ დავესწრებოდით.

**დავით ხხირტლაძე:** მუსიკალური ათწლედის დამთავრების შემდეგ (ფორტეპიანოს კლასი) თბილისის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე გავაგრძელე სწავლა, ვმონაწილეობდი აგრეთვე სტუდენტთა მხატვრულ თვითშემოქმედებაში. მერე ანსამბლ „კოლხეთში“ გამოვდიოდი, იქიდან 1978 წელს „რეროში“ მიმიწვია კონსტანტინე პევზნერმა, 1980 წლიდან კი „ორერაში“ ვარ.

...მოჭიდავე და მოკრივე გახლავართ. მეექვსე კლასიდან ორი წელი კლასიკურ ჭიდაობაზე დავდიოდი მწვრთნელ თამაზ ყურაშვილთან ტტს-ს დარბაზში, მერე კრივმა გამიტაცა. სულ კასიუს კლეი მელანდებოდა — ვაგროვებდი მის ფოტოსურათებს, ვინ იცის, რამდენი ჟურნალ-გაზეთი გამინადგურებია მაკრატლით. დავით კვაჭაძე იმხანად პირველ ნაბიჯებს დგამდა დიდ კრივში. 14 წლისა ვიყავი, მწვრთნელ გიორგი ნოზაძესთან ვვარჯიშობდი. დარბაზიდან სახლში რომ მოვდიოდი, ახლა უბნის ბიჭებთან ვვარჯიშობდი დილამდე. ბარე ათი წყვილი ხელთათმანი მქონდა. სამწუხაროდ, ერთ-ერთ ვარჯიშზე მკლავი ამომივარდა და სპორტულ კარიერას გამოვეთხოვე. გული მწყდება, რომ დღეს საქართველოში აღარ გვყავს გორგასლიძის, ნავასარდოვის, ხანუკაშვილის, ძმები დარბაისლების, რომ არაფერი ვთქვა კვაჭაძისნაირი, მოკრივეები.

**ვახტანგ კუცია:** მეც თვითმოქმედებიდან მოვედი პროფესიონალურ ესტრადაზე — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ორკესტრში ვუკრავდი კონტრაბასზე. მერე რადიო-ტელევიზიის ორკესტრში გადავედი გივი გაჩეჩილაძესთან, იქიდან „ოროველაში“, „ცისანათელაში“, „დიელოში“, „რეროში“ და „ორერაში“ (ჯერ მუსიკოსად ბას-გიტარაზე, მერე კი ვოკალური კვარტეტის წევრად).

...როგორც იცით, კარიკატურისტიც ვარ, ბევრს ვხატავ სპორტზე. მრავალი გამოფენის მონაწილე ვარ, ოთხი კონკურსის ლაურეატი, მათ შორის მოსკოვის ოლიმპიური თამაშების საერთაშორისო კონკურსის „ოლიმპიური ღიმილის“ ლაურეატიც გავხდი. ამჟამად ვამზადებ საკუთარ გამოფენას „ფეხბურთი 100 კარიკატურაში“, რომელიც ალბათ „მერანის“ საგამოფენო დარბაზში მოეწყობა მალე. სხვათა შორის, ფეხბურთზე ახალი სიმღერა დავწერე — „გულშემატკივრის სიმღერა“ ჩემივე ტექსტზე, — „გაახარეთ აწ და მარად ჩვენი გულები — გოლებით და ქულებით!“. მისი დებიუტი სტადიონზე, ფეხბურთის ახალი სეზონის გახსნის დღეებში შედგება. „ორერასათვის“ ეს მეხუთე სიმღერაა სპორტზე. პირველი იყო გოგი ცაბაძის „ოქროს ბიჭებს“ (გახსოვთ — „არის, ასრულდა ოცნება“.. ჩვენი „დინამოს“ პირველ ჩემპიონობაზე 1964 წელს), ამას მოჰყვა ნოდარ გიგაურის „ტორპედო“ (ქუთაისელი ფეხბურთელები რომ დაუბრუნდნენ უმაღლეს ლიგას), კარლო ჩუხრუკიძის „ვიტალი დარასელიას ხსოვნას“ და კვლავ ნოდარ გიგაურის მოფარიკავეთა ჰიმნი „მუშკეტერები“ ზურაბ იაშვილის ინიციატივით რომ დაიწერა.

...პირადად მე მძლეოსანი ვიყავი, თემოსავით მეც ვალენტინ ლაბუნსკისთან ვვარჯიშობდი მეშვიდე კლასიდან. სამი წლის შემდეგ თბილისის ახალგაზრდულ ნაკრებში მოვხვდი, პირველთანრიგოსანი გავხდი. სოხუმში ერთხელ ვიქტორ სანეევთან ერთად ვიასპარეზე. ვიქტორმა ყველაფერი მოიგო, რაც კი შეიძლებოდა — სიგრძე, სიმაღლე, სამხტომი. თავიდანვე იგრძნობოდა, რომ დიდი ჩემპიონი გამოვიდოდა. დღესაც ვეთაყვანები სანეევის შეუდარებელ სპორტულ სულს. ცხადია, ძალიან მიყვარს ფეხბურთიც, აბა რა დამავიწყებს მიხეილ მესხისა და სლავა მეტრეველის პერიოდის „დინამოს“. ასეთი ნაღდი ფეხბურთის იმედით ვართ დღეს მეც და მეოთხედსაუკუნოვანი იუბილარი „ორერას“ ყველა წევრი.

*ინტერვიუ მოჰყავდა*
**ოთარ ნოზაძეს.**

---

საქართველოს პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების I ყრილობის წინ.

## დროა პრობლემები გადაიჭრას

**ბარდაქმნამ** და საჯაროობამ უფლება მოგვცა, ჩვენი გულისტკივილი თუ მოსაზრება თამამად გამოვთქვათ. პრობლემა დღესაც საკმაოდ ბევრია. დავიწყებ იმით, რომ სპორტული საზოგადოებების გაერთიანებამ საზრუნავი საგრძნობლად მოგვიმატა, შტატები კი შემცირდა. თუ „კოლმეურნეში“ ადრე ორი შტატიანი ინსტრუქტორი გვყავდა და 31 ფიზკულტურულ კოლექტივს ვუვლიდით, დღეს, როდესაც ოთხი საზოგადოება გაერთიანდა, მხოლოდ ერთი ინსტრუქტორი მიდგას გვერდში, არადა, ახლა 93 ფიზკულტურულ კოლექტივს უნდა მივხედოთ. თუ იმასაც დავუმატებთ, რომ სამტრედიის რაიონის ფიზკულტურული კოლექტივებიდან მხოლოდ ზესამეტს ჰყავს მეთოდისტი, უფრო ნათელი გახდება, რა მძიმე ტვირთი გვაწევს. ყველაფერ ამას თავის დაზღვევის მიზნით როდი ვამბობ. ადრე შეკვეცამდე ფიზკულტურულ კოლექტივებში ნახევარშტატიანი მეთოდისტები ჰყავდათ, ახლა კი შეამცირეს. ამ საკითხს სერიოზული დაფიქრება სჭირდება. ჩვენს მუშაობაში აქილევსის ქუსლად კვლავ სიყალბე რჩება, რასაც იწვევს თავსმოხვეული არარეალური გეგმა-ვალდებულებები. მოდით, გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ, არსებობს თუ არა იმის პრეცედენტი, რომ ვინმე გეგმებს ნამდვილად ასრულებს? ვის სჭირდება მიწერები, ციფრების ხელოვნურად გაზრდა? მეფე რომ შიშველია, არავის სურს აღიაროს.

ჩვენთან სოფელ ბაშის საბჭოთა მეურნეობამ თვითანაზღაურებაზე გადასვლა იმით დაიწყო, რომ ფიზკულტურის მეთოდისტის შტატი გააუქმა. ამ შემთხვევაში, როგორც ფიზკულტურის მუშაკს, მხოლოდ ის კი არ მაშფოთებს, რომ მათ კანონი დაარღვიეს, რის უფლებაც არ ჰქონდათ. მთავარი მაინც ისაა, რომ ბევრს ცუდად ესმის ფიზიკური აღზრდის როლი, არ იციან, ან არ სჯერათ სტატისტიკის, რომელიც გვაუწყებს, რომ იქ, სადაც ფიზკულტურა სათანადო დონეზეა, ავადმყოფობის გამო გაცდენები ნაკლებია და მეტია ეკონომიკური ეფექტი.

ფიზკულტურის ავტორიტეტისა და როლის ასამაღლებლად ვცდილობთ ფასიანი ჯგუფების გახსნას. ჯერჯერობით მხოლოდ რბენის მოყვარულთა კლუბი გვაქვს. აპრილში გავხსნით საცხენოსნო კლუბს. 26 ცხენიდან, რომლებიც სპორტისთვის არ გამოდგება, დაახლოებით 9-10 ცხენი, გამაჯანსაღებელ ჯგუფს უნდა დავუთმოთ. მომავალში მოვაწყობთ ცხენოსანთა ტურისტულ ლაშქრობებს. თუ რაიონის ხელმძღვანელობაც ამოგვიდგება მხარში, მდინარე გუბისწყალზე გვინდა მოვაწყოთ საგუბარი, სადაც ცურვის შესწავლაც შესაძლებელი იქნება.

ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანადგომით რაიონში მოვაწყვეთ ანკეტური გამოკითხვა იმის თაობაზე, სად რომელი სპორტის სახეობა განვავითაროთ და რა ბაზები ავაშენოთ. ჯერჯერობით კი სპორტული ბაზების დეფიციტს საშუალო სკოლების ხარჯზე ვინაზღაურებთ. რაიონის სკოლების ერთ მესამედში შეჯიბრებებს ვატარებთ. აქედან 7 სკოლის სპორტდარბაზში საღამო ხანს ხშირად ნახავთ მოსახლეობას — ძირითადად ახალგაზრდებს, რომლებიც სპორტის სხვადასხვა სახეობებში ვარჯიშობენ. სამაგალითოდაა დაყენებული ფიზკულტურული მუშაობა ღანირის მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობაში, დიდი ჯიხაიშის სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმში.

ბოლოს მინდა ერთ-ერთ ყველაზე მთავარ და მტკივნეულ საკითხს შევეხო — გვაკლია კვალიფიციური სპეციალისტები. დამაფიქრებელია ისიც, რომ ძალზე დაბალია ფიზკულტურის მეთოდისტის ხელფასი — 80-115 მანეთი თვეში. ვფიქრობ, ყრილობა ამ საკითხებზეც გაამახვილებს ყურადღებას.

**ჯონი ვაშაკიძე,**
**პროფკავშირული სპორტული საზოგადოების სამტრედიის რაიონის საბჭოს თავმჯდომარე, ყრილობის დელეგატი.**

# კალგარი-88

## შთამბეჭდავი გამარჯვებები

**საბჭოთა** ბიატლონისტები ესტაფეტაში ერთ-ერთ მთავარ ფავორიტებად ითვლებოდნენ, ვინაიდან ოლიმპიური ტურნირი არც ერთხელ არ წაუგიათ და გუნდი ამჯერადაც საკმაოდ თანაბარი ძალის სპორტსმენებისაგან შედგებოდა. ფავორიტებად ითვლებოდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებიც, უმთავრესად მათი აღიარებული ლიდერის ფრანც პეტერ რიოჩის წყალობით. ამიტომაც შეჯიბრების დაწყების წინ სპეციალისტებისთვის რომ გეკითხათ ვინ გაიმარჯვებს დღევანდელ რბოლაშიო, ყველა უკლებლივ საბჭოთა კავშირის ან გდრ-ის სპორტსმენებს დაგისახელებდათ.

მაგრამ გერმანელები დამარცხდნენ მწარედ, თანაც პირველსავე ეტაპზე. თავდაპირველად დაწინაურდნენ ნორვეგიელები, მერე ავსტრიელმა ანტონ ლენგაუერმა, ბრწყინვალე სროლის წყალობით, წინ გაიყვანა თავისი გუნდი. საბჭოთა ნაკრებმა, რომელსაც პირველ ეტაპზე დმიტრი ვასილიევი წარმოადგენდა, ბრძოლა ფაქტიურად, მესამე პოზიციიდან დაიწყო, მაგრამ სხვაობა იმდენად მცირე იყო, რომ იგი სერიოზულად მხედველობაში არც არავის მიუღია.

აი, იურგენ ვირტის (გდრ) წარუმატებელი სროლა (მან სამი სამიზნე ვერ დააზიანა და ამის გამო სამი წრით, ანუ 450 მეტრით დაჯარიმდა) კი ამ დღის მთავარი სენსაცია იყო. გდრ-ის გუნდი ლიდერებს ერთბაშად 1,44 წუთით ჩამორჩა და მე-12 ადგილზე აღმოჩნდა.

მეორე ეტაპზე საბჭოთა ნაკრების ღირსებას იუნიორთა შორის გუშინდელი მსოფლიო ჩემპიონი სერგეი ჩეპიკოვი იცავდა, გდრ-მ კი რიოჩი გამოიყვანა. ამ უკანასკნელმა იგრძნობლად „გამოკვეთა“ მდგომარეობა, მაგრამ ჩეპიკოვთან მაინც წააგო, თანაც 7,2 წამი.

მესამე ეტაპზე ალექსანდრე პოპოვმა შეინარჩუნა უპირატესობა და ფაქტიურად გამარჯვების ესტაფეტა გადასცა ვალერი მედვედცევს, რომელმაც თანაგუნდელთა წარმატება ბრწყინვალე ფინიშით დააგვირგვინა. გდრ-ის ბიატლონისტებმა მხოლოდ მეხუთე ადგილი დაიკავეს.

**1. სსრ კავშირი (დიმიტრი ვასილიევი, სერგეი ჩეპიკოვი, ალექსანდრე პოპოვი, ვალერი მედვედცევი) — 1:22.30,0.**

**2. გფრ (ერნსტ რაიტერი, სტეფან ხეკი, პეტერ ანგერერი, ფრიდრიჰ ფიშერი) — 1:23.37,4.**

**3. იტალია (ვერნერ კეიმი, გოტლიბ ტაშლერი, იოჰან პასლერი, ანდრეას ცინგერლე) — 1:23.51,5.**

ამასობაში „ოლიმპიკ ოვალის“ ყინულის სარბიელზე მედლების კომპლექტი მოციგურავე ქალებმა გაითამაშეს. 1000-მეტრიან დისტანციაზე გდრ-ის სპორტსმენთა უპირატესობა აშკარა იყო. ექვსეულში ოთხი აქაური მოციგურავე მოხვდა. თანაც პირველ-ორ ადგილზე გასულმა კრისტა როტენბურგერმა და კარინ კანიამ მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესეს, ანდრია ეროგი (IV ადგილი) და ანგელა შტანგე (VI ადგილი) კი მათ მცირედით ჩამორჩნენ.

საბჭოთა სპორტსმენები ელენა ილინა და ნატალია შივე ამჯერადაც სუსტად გამოვიდნენ — მეორე ათეულში ბოლო ადგილები ერგოთ.

**1. კრისტა როტენბურგერი (გდრ) — 1.17,65.**

**2. კარინ კანია (გდრ) — 1.17,70.**

**3. ბონი ბლეიერი (აშშ) — 1.18,31...**

**18. ელენა ილინა (სსრ კავშირი) — 1.22,40...**

**20. ნატალია შივე (სსრ კავშირი) — 1.22,99.**

შვეიცარიელმა სამთომოთხილამურეებმა მესამე ოქროს მედალი მოიპოვეს. ამჯერად თავი ფრენი შნაიდერმა გამოიჩინა. მან პირველი ადგილი დაიკავა სპეციალურ სლალომში.

**1. ფრენი შნაიდერი (შვეიცარია) — 1.36,69 (48,81 და 47,88).**

**2. მატეია სვეტი (იუგოსლავია) — 1.38,37 (49,21 და 49,16).**

**3. კრისტა კინშოფერ-გუტლაინი (გფრ) — 1.38,40 (49,84 და 48,56).**

ჰოკეისტთა ტურნირზე გადამწყვეტი შეხვედრები ჩატარდა. საბჭოთა ნაკრებმა დაამარცხა შვეციის გუნდი — 7:1 (4:1 1:0, 2:0) და ჩემპიონატის დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე პირველი ადგილი გაინაღდა. ამაში მას ერთგვარად ჩეხოსლოვაკიის ნაკრები „წაეხმარა“, რომელმაც პრინციპული ბრძოლა მოუგო ფინელ სპორტსმენებს — 5:2 (1:0, 2:1, 2:1). ოლიმპიადის მასპინძელმა, როგორც იქნა, ხელი გამოიღო და დიდი ანგარიშით დაჯაბნა გფრ-ის გუნდი — 8:1 (1:0, 4:1, 3:0).

ბოლო ტურის წინ გათამაშების ცხრილი გამოიყურება ასე:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **სსრ კავშირი** | 4 | 4 | 0 | 0 | 24-5 | 8 |
| **ფინეთი** | 4 | 2 | 1 | 1 | 16-9 | 5 |
| **შვეცია** | 4 | 1 | 2 | 1 | 12-14 | 4 |
| **კანადა** | 4 | 1 | 1 | 2 | 11-11 | 3 |
| **გფრ** | 4 | 1 | 0 | 3 | 6-23 | 2 |
| **ჩეხოსლოვაკია** | 4 | 1 | 0 | 3 | 9-16 | 2 |

**შენიშვნა:** ქულათა თანაფარდობის შემთხვევაში ანგარიშში მიიღება ურთიერთშეხვედრის შედეგი.

## მედლები

**ოლიმპიადის დახურვამდე ორი დღით ადრე, 26 თებერვალს მედლების კიდევ სამი კომპლექტი გათამაშდა:**

| | ო. | ვ. | ბ. | სულ |
|---|---|---|---|---|
| **სსრ კავშირი** | 10 | 9 | 7 | 26 |
| **გდრ** | 8 | 7 | 4 | 19 |
| **ფინეთი** | 4 | — | 2 | 6 |
| **შვეიცარია** | 3 | 5 | 4 | 12 |
| **ავსტრია** | 3 | 4 | 2 | 9 |
| **შვეცია** | 3 | — | 1 | 4 |
| **გფრ** | 2 | 3 | 2 | 7 |
| **აშშ** | 2 | 2 | 1 | 5 |
| **ნიდერლანდები** | 1 | 2 | 2 | 5 |
| **იტალია** | 1 | — | 2 | 3 |
| **საფრანგეთი** | 1 | — | 1 | 2 |
| **ნორვეგია** | — | 3 | 2 | 5 |
| **კანადა** | — | 1 | 3 | 4 |
| **ჩეხოსლოვაკია** | — | 1 | 2 | 3 |
| **იუგოსლავია** | — | 1 | 2 | 3 |
| **იაპონია** | — | — | 1 | 1 |

**შენიშვნა:** ჰოკეისტთა ოლიმპიური ტურნირი საბჭოთა სპორტსმენებმა მოიგეს, მაგრამ ვინაიდან მეორე-მესამე ადგილების მფლობელთა ვინაობა ჯერ გარკვეული არ არის, საბჭოთა ჰოკეისტების ოქროს მედალი ცხრილში შეტანილი არ გვაქვს.

როგორც ხედავთ, ყველაზე მეტი მედალი საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებს აქვთ მიღებული. მაგრამ ამ ბრძოლაში ჩვენი ოლიმპიელები დაწინაურდნენ. გდრ-ის სპორტსმენებს აქვთ კიდევ შესაძლებლობა გააუმჯობესონ მდგომარეობა უმთავრესად მოციგურავე ქალების, ბობსლეისტთა ოთხეულისა და ფიგურისტების ხარჯზე. მაგრამ ანალოგიურ შანსებს საბჭოთა ოლიმპიელებიც ინარჩუნებენ. ასე რომ, ჩვენი სპორტსმენების მაჩვენებელთა გაუმჯობესება, ფაქტიურად, შეუძლებელი ჩანს.

ცხრილში, როგორც ხედავთ, მესამე ადგილზეა ფინეთის დელეგაცია (ოქროს მედლების რაოდენობით), მაგრამ მან ამ წარმატებას, უმთავრესად, ტრამპლინიდან მხტომელის მატი ნიუკიანენის სამგზის გამარჯვებით მიაღწია. სულ კი მედლები 16 ქვეყნის წარმომადგენლებს აქვთ მიღებული, რაც ზამთრის სპორტის სახეობათა გეოგრაფიის მნიშვნელოვან გაფართოებაზე მიგვანიშნებს.

ლახტის წრეში

# რატომ ვეკიდებით უპასუხისმგებლოდ რესპუბლიკურ პირველობას?

**რამდენიმე დღის წინ ჩატარდა საქართველოს პირად-გუნდური ჩემპიონატი სამთო-სათხილამურო სპორტში, რომელსაც ჩვენი აღიარებული სამთო-სათხილამურო ცენტრი ბაკურიანი მასპინძლობდა.**

ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც აქ რეგულარულად ტარდება სხვადასხვა რანგის შეჯიბრებები და ამიტომ საკმარისზე მეტადაა დაგროვილი გამოცდილება სხვადასხვა რანგის (თუ გნებავთ, საერთაშორისოსიც) შეჯიბრებების ჩატარებისათვის. მიუხედავად ამისა, ბოლო დროს, სამწუხაროდ, რესპუბლიკური ასპარეზობების ჩატარების ორგანიზაციული მხარე ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

ჩვენი რესპუბლიკისათვის ეს ყველაზე მნიშვნელოვანი და პრესტიჟული შეჯიბრებაც გამონაკლისს არ წარმოადგენდა: თოვლის სატკეპნი მანქანების უქონლობისა და საბაგირო გზების ჩაურთველობის გამო ამჯერად ვერ მოხერხდა სწრაფდაშვების ტრასის მომზადება კოხტა-II-ზე და ამიტომ ეს სახეობა საერთოდ ამოიღეს შეჯიბრების პროგრამიდან.

გეტყვით პირდაპირ, რომ დანარჩენ სახეობებში შეჯიბრების ჩატარება მხოლოდ მსაჯთა ბრიგადის დიდი გარჯის შედეგად მოხერხდა. თანამედროვე, დრეკადი ჯოხების უქონლობის გამო შეჯიბრება სპეციალურ სლალომში, ასე ვთქვათ, მამაპაპური ბამბუკის ჯოხებით ჩატარდა. ცუდად მუშაობდა ელექტროქრონომეტრაჟი, ხოლო სუპერგიგანტის ჩატარების დროს შედეგებს მხოლოდ ხელის წამზომით აფიქსირებდნენ, აკლდათ ტრასაზე კარის აღმნიშვნელი დროშები და სხვა.

ვინც ცოტათი მაინც არის ჩახედული სამთო-სათხილამურო სპორტში, ალბათ მიხვდება, თუ რაოდენ მძიმე პირობებში მოუხდათ ასპარეზობა რესპუბლიკის ჩემპიონატის მონაწილეებს. ეს მაშინ, როდესაც ჩვენთან უკვე გამოჩნდა ნიჭიერი ახალგაზრდა თაობა, რომელსაც ძალუძს დაუბრუნოს ქართველ სამთო მოთხილამურეებს დაკარგული პოზიციები საკავშირო სარბიელზე.

აქსიომაა: ყველა რანგის შეჯიბრების, და მით უფრო რესპუბლიკის ჩემპიონატის, მაღალ დონეზე ჩატარება მუდამ წარმოადგენდა სპორტსმენთა ოსტატობის ზრდის საწინდარს. ამიტომ, ცხადია, ორგანიზაციულ მხარეს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. შეჯიბრება არ უნდა ტარდებოდეს მხოლოდ იმისათვის, რომ, ასე ვთქვათ, „კალენდარული გეგმა“ შესრულდეს.

წლების განმავლობაში ბაკურიანში ყველაზე დიდი რანგის შეჯიბრებებისთვის — ოლიმპიური თამაშებისა თუ მსოფლიო ჩემპიონატებისათვის ემზადებიან ქვეყნის ნაკრები გუნდები სათხილამურო რბოლაში, ორჭიდსა და ბიატლონში. აქვე ტარდება საკავშირო პირველობები და თასის გათამაშებები. ამ შემთხვევაში სამართლიანი ქების გარდა სხვა არაფერი გვესმის ორგანიზატორების მისამართით. გასული წლის ზამთარში ტრადიციულად კარგად, შეიძლება ითქვას, ლამაზად, ჩატარდა სამთო-მოთხილამურე არქიტექტორთა საერთაშორისო შეჯიბრება.

მაშ, რა მოხდა, რომ ვერაფრით ვერ ვახერხებთ შესაბამის დონეზე რესპუბლიკური რანგის შეჯიბრების ჩატარებას?! ამისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა ბაკურიანში უნდა განხორციელდეს საქართველოს სპორტკომიტეტთან არსებული სამთო სახეობების უმაღლესი დაოსტატების სკოლის მიერ. მას, ალბათ, გვერდში უნდა ამოუდგნენ ზამთრის სპორტის სახეობათა რესპუბლიკური ფედერაცია და ბორჯომის რაიონის ხელმძღვანელობაც. ვფიქრობთ, მხოლოდ ასეთი ერთობლივი მეცადინეობით შეიძლება მდგომარეობის გამოსწორება.

ბაკურიანი ჩვენი სამთო-სათხილამურო სპორტის სიამაყეა და აქ გამართული შეჯიბრებების მიმართ ზერელე დამოკიდებულება ყოვლად დაუშვებლად მიგვაჩნია და არავის ეპატიება. ამასთანავე უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ რესპუბლიკის ნაკრები გუნდი ძირითადად სწორედ ბაკურიანელი სპორტსმენებით არის დაკომპლექტებული.

**ალექსანდრე კანდელაკი,**
**რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.**

• • •

**დინამოელმა** გია ორჯონიკიძემ საქართველოს სამთომოთხილამურეთა ჩემპიონატის ორი უმაღლესი ჯილდო მოიპოვა ბაკურიანში. წალკელი სპორტსმენი საუკეთესო იყო სუპერგიგანტსა და გიგანტურ სლალომში. ქალთა შორის ანალოგიურ წარმატებას მიაღწია პროფკავშირთა ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების წევრმა, მესტიელმა ეკა უშხვანმა, რომელმაც გაიმარჯვა სპეციალურ და გიგანტურ სლალომში. ბაკურიანელმა ტატიანა აბრამიშვილმა („დინამო“) ყველაზე აჯობა სუპერგიგანტში, ხოლო პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების წევრმა, ბაკურიანელმა ამირ პაპიკაშვილმა სპეციალურ სლალომში იმარჯვა.

საერთო გუნდური გამარჯვება მოიპოვეს პროფკავშირთა ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების სამთომოთხილამურეებმა. ვერცხლის მედლები წილად ხვდათ დინამოელებს, ბრინჯაოსი — საქართველოს განათლების სამინისტროს გუნდს.

საქინფორმი.

# სპორტტექნიკურ კომისიაში

**ამ დღეებში შედგა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკური კომისიის სხდომა (კომისიის თავმჯდომარეა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორი, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ო. გოგიაშვილი).**

სხდომამ განიხილა რესპუბლიკის II ლიგის ოსტატთა გუნდების რამდენიმე ფეხბურთელის დისციპლინარული საკითხი. დისციპლინის დარღვევებისა და უწესრიგობის გამო სპორტტექნიკურმა კომისიამ წინა წლებში სხვადასხვა ვადით დისკვალიფიკაცია მისცა ფეხბურთელებს შ. კაშიას, ნ. თვარაძეს, მ. შამათავას და დ. სანიკიძეს. ზოგიერთმა ამ ფეხბურთელმა სასჯელის დიდი ნაწილი უკვე მოიხადა, ზოგიერთმა შეიგნო თავისი დანაშაულის სიმძიმე და მოინანია საქციელი.

საქართველოს II ლიგის გუნდებს წლეულს სერიოზული ამოცანები აქვთ დასახული საკავშირო შეჯიბრებებში, აქ უნდა მომზადდეს რეზერვები უფრო მაღალი კატეგორიის გუნდებისთვის, ამასთან დაკავშირებით სპორტტექნიკურმა კომისიამ შესაძლებლად მიიჩნია ფეხბურთელების შ. კაშიას, ნ. თვარაძის, მ. შამათავასა და დ. სანიკიძისთვის დისკვალიფიკაციის პირობითი სასჯელით შეცვლა, ნება დართო დაუბრუნდნენ თავიანთ კოლექტივებს და ხელი შეუწყონ მათს წარმატებას მომავალ მნიშვნელოვან საკავშირო შეჯიბრებებში, ამასთან ერთად, ეს ფეხბურთელები მკაცრად გააფრთხილეს, რომ თუ მათ ოდნავ მაინც დაარღვიეს წესრიგი, სპორტტექნიკური კომისია სრული სიმკაცრით მიუდგება საქმეს და გადამჭრელ ზომებს მიმართავს.

ამავე სხდომაზე განიხილეს საქართველოს პირველობაში მონაწილე ზოგიერთი გუნდისთვის სახელწოდების შეცვლის საკითხი. რუსთავის „მშენებელი“ ამიერიდან ითამაშებს **„მეტალურგი“-2-ს** სახელით, ტყიბულის რაიონის ორპირის გუნდს დაერქმევა **„ოკრიბა“**, გონიოს „ნარინჯი“ გამოვა ხელვაჩაურის **„კახაბერის“** სახელით, ბათუმის „დინამო“-2-ს ნაცვლად ითამაშებს ბათუმის **„სპარტაკი“**, ხოლო ქედის „აჭარეთას“ ნაცვლად — **„ბეთლემი“**. ქუთაისის „იმერეთი“ გამოვა ამ ქალაქის **პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდის სახელით.**

ამავე სხდომაზე განიხილეს შუამდგომლობები ზოგიერთი გუნდის III ჯგუფში დაშვების შესახებ. თიანეთის, ახალციხისა და ახმეტის რაიონების სპორტულ მესვეურთ უარი ეთქვათ, ვინაიდან რესპუბლიკურ შეჯიბრებებში გუნდების მონაწილეობა მოხდება მხოლოდ სპორტული შედეგების შესაბამისად. ტყიბულის „მეშახტეს“ უარი ეთქვა ზოგიერთი მოთამაშის გუნდში დაშვების თაობაზე. ეს გუნდი შარშან ოსტატთა კატეგორიაში გამოდიოდა, წლეულს კი საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობს, ამიტომაც გუნდის მოთამაშეთა დამტკიცება მოხდება მხოლოდ რესპუბლიკური ჩემპიონატის დებულების შესაბამისად.

განიხილეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ხაშურისა და ახმეტის რაიონების შუამდგომლობები პირველი 3 ტურის კალენდარული მატჩების გადატანის თაობაზე. სპორტტექნიკურმა კომისიამ შუამდგომლობაზე უარი თქვა, ყველა მატჩი უნდა ჩატარდეს კალენდრის შესაბამისად. სპორტტექნიკურმა კომისიამ გააფრთხილა ყველა გუნდის ხელმძღვანელები, რომ კალენდარული მატჩების გადატანა კატეგორიულად აკრძალულია, გათამაშების გრაფიკი ზუსტად უნდა იქნას დაცული.

ზუგდიდის „დინამოს“ ხელმძღვანელობამ შუამდგომლობა აღძრა ფეხბურთელ ე. ჰედიას თაობაზე, რომელიც ინანიებდა შარშანდელ ჩემპიონატში თავის ხულიგნურ საქციელს და ითხოვდა თამაშებზე დაშვებას. სპორტტექნიკურმა კომისიამ შუამდგომლობაზე უარი თქვა და ადრინდელი დადგენილება ძალაში დატოვა.

საქართველოს პირველობაზე გუნდების დამატებითი განაცხადების გაფორმების ბოლო ვადად სხდომამ დაადგინა ყოველი კვირის ხუთშაბათი. სხვა დღეებში სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო დამატებით განაცხადებს არ მიიღებს.

## მართლმსაჯულების წინაშე

ჰოლანდიის საინფორმაციო სააგენტო ანპ იუწყება, რომ როტერდამის სასამართლო შეუდგა იმ ინციდენტის განხილვას, რომელიც ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში მოხდა ჰოლანდიისა და კვიპროსის ნაკრებ გუნდებს შორის. როგორც ცნობილია, თამაშის დაწყების წინ ერთ-ერთმა ჰოლანდიელმა ხულიგანმა გულშემატკივარმა ტრიბუნიდან მინდორზე თვითნაკეთი ბომბი ისროლა, რომლის აფეთქების შედეგადაც დაიჭრა კვიპროსის გუნდის მეკარე. პოლიციამ შეძლო ხულიგნის დაპატიმრება და სასამართლოში მისცა იგი.

ამ ქვეყნის კანონმდებლობით ხულიგანს წაუყენეს ადამიანის სიცოცხლეზე თავდასხმისა და სხეულის დაზიანების მიყენების ბრალდება. ამ დანაშაულისთვის მაქსიმალური სასჯელია 15 წლის პატიმრობა.

## „დნეპრი“ ურუგვაიში

დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ ფეხბურთელები ამჟამად ურუგვაიში იმყოფებიან, სადაც ქ. მონტევიდეოს თასის გათამაშებაში მონაწილეობენ. „დნეპრმა“ პირველი მატჩი პარაგვაის „ოლიმპიასთან“ მოიგო ანგარიშით 2:1.

დღეს, ფინალურ მატჩში „დნეპრის“ მეტოქე იქნება ურუგვაის „პენიაროლი“, რომელმაც დაამარცხა თავისი ტრადიციული მეტოქე მონტევიდეოს „ნასიონალი“ — 1:0.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ ● ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ ● ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ ● ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ



# ᲡᲞᲘ-ᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲥᲣᲚᲐ

თბილისში, კიროვის სახელობის პარკის დარბაზში მიმდინარე პირველი ლიგის კალათბურთელ ქალთა ტურნირის მონაწილენი, ფაქტიურად, V-XII ადგილებისთვის იბრძვიან. მეთორმეტე, ბოლო ადგილზე გასვლა კატასტროფას ნიშნავს, ვინაიდან გუნდი ავტომატურად გადადის მეორე ლიგაში. მეთერთმეტე ადგილი რაღაც შედავათს კიდევ იძლევა — კალათბურთელები დამატებით მიკრო-ტურნირში მონაწილეობის უფლებას იღებენ და წარმატების შემთხვევაში ინარჩუნებენ ადგილს პირველ ლიგაში.

შეხვედრათა სიმძაფრეს, მის ხასიათს, მნიშვნელოვანწილად სწორედ ეს ფაქტი განსაზღვრავს. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელებს დღესდღეობით 10 გამარჯვება აქვთ. ისინი VIII-IX ადგილებისთვის იბრძვიან.

თბილისის ტურის დამთავრების შემდეგ ჩვენი გუნდი კიშინიოვში გაემგზავრება, ბოლო გადამწყვეტი ტური კი ისევ თბილისში მოეწყობა.

გუშინწინ საქართველოს კალათბურთელები როსტოვის „კრასნი აქსაის" კოლექტივს შეხვდნენ. პირველ ტაიმში მასპინძლები უმნიშვნელო უპირატესობას ფლობდნენ (44:40). შესვენების შემდეგ თბილისელმა სტუდენტებმა გაცილებით უკეთ ითამაშეს და საბოლოოდ გამარჯვებაც მოიპოვეს — 98:71.

კიდევ უფრო მძაფრი იყო ბრძოლა მეორე მატჩში, სადაც ერთმანეთს პენზის „სპარტაკი" და ფრუნზეს „სტროიტელი" ხვდებოდნენ. ტაიმი სპარტაკელებმა ქულით მოიგეს — 49:48. ძირითადი დრო ფრედ დამთავრდა — 96:96 და მხოლოდ პირველ დამატებით დროში გასტეხეს პენზელმა კალათბურთელებმა მეტოქის წინააღმდეგობა — 109:106.

# ᲝᲗᲮᲘᲕᲔ ᲡᲣᲞᲔᲠᲤᲘᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ

**ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ** უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის ფინალისტთა მორიგი მატჩები.

**ᲙᲐᲣᲜᲐᲡᲘ.** „ჟალგირისისა" და „სტროიტელის" მესამე ნახევარფინალურ შეხვედრაში წარმატებას ლიტველმა სპორტსმენებმა მიაღწიეს — 87:85 (47:37). ამრიგად, სუპერფინალებში, რომელიც ჩვენი ქვეყნის 55-ე ჩემპიონს გამოავლენს, ითამაშებენ ცსკა და „ჟალგირისი". მცირე სუპერფინალებში (III ადგილისთვის) ერთმანეთს კიევის „სტროიტელი" და თბილისის „დინამო" შეხვდებიან.

**ᲓᲝᲜᲔᲪᲙᲘ.** ადგილობრივმა „შახტიორმა" და რიგის ვეფ-მა ფინალური ტურნირის ფარგლებში კიდევ ორი შეხვედრა ჩაატარეს. პირველი მოიგეს მასპინძლებმა — 68:60 (32:25), გადამწყვეტი კი სტუმრებმა — 71:65 (41:34). ვეფ-ი V ადგილისთვის ითამაშებს.

**ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ.** ადგილობრივმა „დინამომ" შედარებით იოლად დაამარცხა მინსკის რტი — 100:74 (53:29).

# ᲬᲘᲜᲐᲐ „ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲘ"

**ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ** კალათბურთელ ვაჟთა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალური ტურნირი. გათამაშების ლიდერმა ბელგრადის „პარტიზანმა" მორიგი გამარჯვება მოიპოვა. ამჯერად მან საფრანგეთის „ორტეზი" მისსავე მოედანზე დაამარცხა — 73:70 (34:33). „პარტიზანს" ახლა 19 ქულა აქვს.

16 ქულა დააგროვა საბერძნეთის „არისმა", რომელმაც მორიგ ტურში ტელ-ავივის „მაკაბის" აჯობა — 93:77 (50:45). საინტერესოა აღინიშნოს, რომ ეს მატჩი ბრწყინვალედ ჩაატარა ბერძნების ლიდერმა და ევროპის ერთ-ერთმა საუკეთესო კალათბურთელმა ნიკოს გალისმა, რომელმაც თავის კოლექტივს 36 ქულა შესძინა. „არისი" მეორე ადგილზეა.

თექვსმეტი ქულა აქვს მილანის „ტრეისერსაც". ბოლო მატჩი მან ჰოლანდიის „ნაშუას" მოუგო — 85:80 (39:38). იტალიელებს ჯერჯერობით სატურნირო ცხრილში მესამე ადგილი უკავიათ, ვინაიდან გატანილი და მიღებული ბურთების უარესი სხვაობა აქვთ „არისთან" შედარებით.

ამ ტურის მეოთხე მატჩში „ბარსელონამ" (ესპანეთი) კიოლნის „სატურნს" მოუგო — 116:85 (54:39).

მომდევნო რაუნდს ფინალისტები 3 მარტს გამართავენ.

# ᲘᲣᲒᲝᲡᲚᲐᲕᲘᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

დამთავრდა იუგოსლავიის თასის XXIII გათამაშება. დიდ ინტერესს იწვევდა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების ლიდერის ბელგრადის „პარტიზანის" და იუგოსლავიის ჩემპიონატში დაწინაურებულ სპლიტის „იუგოპლასტიკას" ნახევარფინალური მატჩი. ორთაბრძოლის პირველი ნახევარი „იუგოპლასტიკას" კარგს არაფერს უქადდა, ტაიმი „პარტიზანმა" მოიგო — 44:35. შესვენების შემდეგ „იუგოპლასტიკამ" დიდი ბრძოლისუნარიანობა გამოიჩინა და დუშან ივანოვიჩის (24 ქულა) ზუსტი სროლების შედეგად გარდატეხა შეიტანა თამაშში — 75:73 გაიმარჯვა „იუგოპლასტიკამ". „ციბონამ" დამაჯერებლად სძლია „რაბოტნიჩკის" —103:87 (56:40). გამარჯვებულთა შორის ყველაზე შედეგიანები იყვნენ ცვეტიჩანინი (20 ქულა) და დრაჟენ პეტროვიჩი (19).

„ციბონასა" და „იუგოპლასტიკას" შორის ფინალურ მატჩს 5000 მაყურებელი დაესწრო. „ციბონა" რევანშზე ოცნებობდა. საქმე ისაა, რომ მან ქვეყნის ჩემპიონატში ორივე თამაში წააგო ამ მეტოქესთან. სპლიტში — 95:98, ზაგრებში — 86:87. პირველ ტაიმში მისი უპირატესობა მინიმალური იყო — 41:38. მერე ქულა ქულას მისდევდა. თამაშის დამთავრებამდე 11 წამით ადრე ზორან ჩუტურას ზუსტმა სროლამ გამარჯვება „ციბონას" მოუტანა 82:80. ეს გუნდი მეშვიდედ (1980, 1981, 1982, 1983, 1985, 1986, 1988) დაეუფლა იუგოსლავიის თასს.

**ᲛᲔᲠᲐᲑ ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲔ.**

# „ᲪᲘᲑᲝᲜᲐ" ᲗᲣ „ᲠᲔᲐᲚᲘ"?

**2 ᲛᲐᲠᲢᲡ** ო. კორაჩის თასის გათამაშების ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდებიან ძველი მეტოქეები მადრიდის „რეალი" და ზაგრების „ციბონა". აღსანიშნავია, რომ „რეალი" და „ციბონა" ევროპის საკლუბო გუნდების ტურნირების ფინალში მესამედ შეხვდებიან ერთმანეთს. წინა ორი მატჩი „ციბონამ" მოიგო. პირველად ეს იყო ბრიუსელში 1982 წელს თასის მფლობელთა თასის ფინალურ მატჩში — 96:95. მეორედ 1985 წელს ათენში ჩემპიონთა თასის ფინალურ ორთაბრძოლაში—87:78. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ბოლო წლებში „ციბონა" საკმაოდ წარმატებით გამოდის „რეალის" პირისპირ, რასაც მიმომხილველთა უმრავლესობა დრაჟენ პეტროვიჩის ბრწყინვალე თამაშს უკავშირებს. ამიტომ „რეალის" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ უკეთესი იქნებოდა ეს კალათბურთელი მისი მეტოქე კი არ ყოფილიყო, არამედ მადრიდელთა რიგებში ეხილათ. სეულის ოლიმპიადის შემდეგ პეტროვიჩი „რეალის" შემადგენლობაში უნდა ჩაირიცხოს, თუმცა არსებობს ერთი სერიოზული დაბრკოლება. საქმე ისაა, რომ პეტროვიჩი 24 წლისაა და კანონის თანახმად უფლება არა აქვს ითამაშოს საზღვარგარეთის კლუბებში. იუგოსლავიის კალათბურთის ფედერაცია ასეთ უფლებას იმ მოთამაშეებს ანიჭებს, რომლებსაც შეუსრულდათ 28 წელი.

# ᲙᲕᲘᲛᲐᲢᲘ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲘᲕᲘ

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ** ყველა კუთხიდან ხომ მოდის და მოდის ბარათები, „კვიმატ ფოსტაში" რუსეთის ფედერაციიდან გამოგზავნილი წერილებიც გამოერია: „ჩემს ამხანაგებს, რიაზანის უმაღლესი სამხედრო საინჟინრო საავტომობილო სასწავლებლის კურსანტებს ძალიან მოსწონთ „კვიმატი ობიექტივი". ესესაა 24 იანვრის ნომერი მივიღე და წარწერებიც უმალ შევარჩიეთ", — გვწერს ამ სასწავლებლის კურსანტი ზაზა მაღულარია. მისმა მეგობრებმა ანდრეი პოტერუხამ, სერგეი ნოვიკოვმა და სხვებმა ამ ფოტოსათვის რამდენიმე წარწერა შემოგვთავაზეს, რომელთაგან საუკეთესო, ჩვენის აზრით, „ბრიგადული იჯარაა". „კვიმატ ობიექტივს" ტომსკიდან გამოეხმაურა რევაზ გოგოლაძე: **„ბურთს რომ აგდებდა კალათში, რას მოელოდა უკეთესს? „სპარტაკის" ექვსი ნომერი „კლასიკურ" ილეთს უკეთებს".**

ახლა „რესპუბლიკურ ფოსტას" გადავხედოთ. ქუთაისელი მურმან სუპატაშვილი: **„სასწრაფო დახმარება"**; ჭიათურელი კ. ქოქიაშვილი: **„ხელში აგილებ, აგხედავ... კიდევ ჩაგკოცნი, აგცქერი"**; პაატა სირბილაძე: **„აი, მესმის კალათბურთი, ზოგს ჰგონია კაცი ბურთი"**; გვანცა ომიაძე: **„კოლია, ალ გინდა თამაში, წამო, წაგიყვან „ატაში"**; დათო გიორგობიანი: **„მე ვარ ერთი ციდა, მეც თამაში მინდა"** (სამივე ავტორი თბილისელია).


ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

საინტერესო წარწერები გამოგვიგზავნეს: რომიკო და ივერი თაბაგარებმა (ჭიათურა), ზურაბ აშვეთიამ (ტყიბული), აზა რურუამ (აბაშა), დავით მარგველაშვილმა (ქუთაისი), საბა მწყერაშვილმა (საჩხერე), ნუგზარ ბარაბაძემ (ქუთაისი), ამირან ფირცხალავამ, დათო ლეკაშვილმა, ზაზა მებადურმა (სამივე — თბილისი) და სხვებმა.

გთავაზობთ ახალ ფოტოს.



## ᲯᲔᲠ ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ, ᲛᲔᲠᲔ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

**ᲒᲤᲠ-ᲘᲡ** გულშემატკივართა გამოკითხვის შედეგად გამოირკვა, რომ ამ ქვეყანაში სპორტის ყველაზე უფრო პოპულარული სახეობა ჩოგბურთი გახდა. ამაში, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა შტეფი გრაფისა და ბორის ბეკერის მიღწევებმა.

გამოკითხულ გულშემატკივართა 45-მა პროცენტმა უპირატესობა ჩოგბურთს მიანიჭა. მეორე ადგილზეა ფეხბურთი (37 პროცენტი), შემდეგ მოდის ცურვა და მძლეოსნობა.

# ᲗᲮᲘᲚᲐᲛᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲕᲐᲚᲘ...

**ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘᲡ** ხეობა, საქართველოს ეს ულამაზესი კუთხე, სამოცი წლის წინათ ზამთრის პერიოდში ფაქტიურად გამოუყენებელი იყო. ზოგიერთი ბუნების მოყვარული თუ გაბედავდა წაღვერში ან ცემში ასვლას და თოვლიან წიწვნარში ციგით სრიალს, თორემ ბაკურიანზე, და მით უმეტეს კოხტა გორაზე, ლაპარაკიც ზედმეტი იყო.

დაბა ლიბანში 1927 წლის დამლევს დამთავრდა სანატორიუმის მშენებლობა რკინიგზის სადგურიდან ორიოდე კილომეტრით რომაა დაშორებული. სანატორიუმის დირექტორად დანიშნეს ექიმი გეგეჭკორი (სახელი აღარ მახსოვს). კარგი სპეციალისტი და მეტად განათლებული ადამიანი გახლდათ. მისი აზრით, ლიბანის ბუნებრივ პირობებში თხილამურებით სიარულს უდიდესი სამკურნალო მნიშვნელობა ჰქონდა, ამიტომ გეგეჭკორმა დამსვენებელთა 1-1,5-საათიანი აუცილებელი გასეირნება შემოიღო.

რკინიგზის პროფკავშირების რადიოლაბორატორიამ, სადაც მე იმ დროს ვმუშაობდი, სანატორიუმის რადიოფიკაცია დამავალა, რის გამო ოთხი თვე დავყავი იქ.

ნოემბრის დამლევს, როდესაც თბილისში ვბრუნდებოდი მასალის ჩამოსატანად, გეგეჭკორმა მთხოვა რკინიგზის სამმართველოს ჯანმრთელობის განყოფილებაში გამევლო და თხილამურების შეძენის თაობაზე ჩვენი განცხადების საქმე შემემოწმებინა. მეორე დღეს, ლიბანში დაბრუნებისას, ხელზე მქონდა ქვითარი ორმოცდაათი წყვილი თხილამურის გამოგზავნის თაობაზე.

როგორც კი სანატორიუმში მიიღეს თხილამურები, დირექტორმა მოიწვია თანამშრომლები და განუცხადა, რომ პირველ მარტამდე ყველას უნდა შეესწავლა თხილამურებით სიარული, რათა შესძლებოდა დამსვენებელთა გასეირნება თხილამურებით. მე მაშინ 17 წლისა ვიყავი და დიდი სურვილი მქონდა თხილამურებს კარგად დავუფლებოდი.

## ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲓᲐᲜ

პირველ დღეებში თხილამურებით... სანატორიუმს ვუვლიდით გარშემო ერთი-ორი საათი. მიუხედავად იმისა, რომ ფეხის კუნთები გვტკიოდა, დღეს არ ვაცდენდით უთხილამუროდ, ერთხელ სადგურამდეც გავისეირნეთ, მერე კი უფრო შორს, ტყეში გავედით. ერთ მშვენიერ დღეს ამხანაგებს ბაკურიანში ასვლა და იქიდან ლიბანამდე თხილამურებით დაშვება შევთავაზე. მსურველები საკმაო რაოდენობით აღმოჩნდა — 16 კაცი. დილის მატარებლით ვეწვიეთ ბაკურიანს, მოვიმარჯვეთ თხილამურები და საურმე გზით ლიბანისაკენ დავეშვით. თითქმის ორი საათი მოვანდომეთ გზას. მერე კიდევ რამდენიმეჯერ გავიმეორეთ ეს მარშრუტი, ორჯერ ტბამდეც დავეშვით...

სამუშაოს დამთავრებისთანავე თბილისს გამოვეშურე. სადგურამდე თხილამურებით ჩამოვედი, თან „თანამეთხილამურეთა" საკმაოდ მოზრდილი ესკორტი მაცილებდა...

უკვე თბილისში გავიგე, რომ სანატორიუმს დამსვენებელთა ახალი პარტია მიეღო და თხილამურებზე გასეირნება სავალდებულო პროცედურად გამოეცხადებინათ.

**ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲯᲝᲒᲐᲫᲔ,**
**რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი.**

## „ᲡᲞᲝᲠᲢᲞᲠᲝᲒᲜᲝᲖᲘ", ᲛᲔᲐᲗᲔ ᲢᲘᲠᲐᲟᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ (5-7 ᲛᲐᲠᲢᲘ)

| | | | ᲞᲠᲝᲒᲜᲝᲖᲘ | | |
|---|---|---|---|---|---|
| **ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲨᲐᲘᲑᲘᲐᲜ ᲰᲝᲙᲔᲘᲨᲘ (ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲚᲘᲒᲐ)** | | | | | |
| 1 | „ავტომობილისტი" (სვერდლოვსკი) — „ტრაქტორი" (ჩელიაბინსკი) | 5.III | 60 | 20 | 20 |
| 2. | „სოკოლი" (კიევი) — „დინამო" (მოსკოვი) | 5.III | 10 | 20 | 70 |
| 3. | „ხიმიკი" (ვოსკრესენსკი) — „სპარტაკი" (მოსკოვი) | 5.III | 20 | 20 | 60 |
| **ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲑᲣᲠᲗᲘᲐᲜ ᲰᲝᲙᲔᲘᲨᲘ (ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲚᲘᲒᲐ)** | | | | | |
| 4. | ასკ (ხაბაროვსკი) — „დინამო" (მოსკოვი) | 5.III | 50 | 20 | 30 |
| 5. | „სტარტი" (გორკი) — „ენისეი" (კრასნოიარსკი) | 5.III | 10 | 20 | 70 |
| 6. | „ზორკი" (კრასნოგორსკი) — ასკ (სვერდლოვსკი) | 5.III | 60 | 20 | 20 |
| **ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲨᲐᲘᲑᲘᲐᲜ ᲰᲝᲙᲔᲘᲨᲘ (ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲚᲘᲒᲐ)** | | | | | |
| 7. | „კრილია სოვეტოვი" (მოსკოვი) — ასკ (ლენინგრადი) | 6.III | 80 | 10 | 10 |
| **ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲑᲣᲠᲗᲘᲐᲜ ᲰᲝᲙᲔᲘᲨᲘ (ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲚᲘᲒᲐ)** | | | | | |
| 8. | „იუნოსტი" (ომსკი) — „სტროიტელი" (სიქტივკარი) | 6.III | 80 | 10 | 10 |
| 9. | „ვოლგა" (ულიანოვსკი) — „ვოდნიკი" (არხანგელსკი) | 6.III | 50 | 10 | 40 |
| 10. | „ლოკომოტივი" (ირკუტსკი) — „დინამო" (ალმა-ათა) | 6.III | 20 | 20 | 60 |
| 11. | „კუზბასი" (კემეროვო) — „საიანი" (აბაკანი) | 6.III | 70 | 10 | 20 |
| **ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲨᲘ (ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲚᲘᲒᲐ)** | | | | | |
| 12. | „დინამო" (თბილისი) — „ჟალგირისი" (ვილნიუსი) | 7.III | 30 | 60 | 10 |
| 13. | „არარატი" (ერევანი) — „დინამო" (მინსკი) | 7.III | 20 | 70 | 10 |

რედაქტორი
**Თ. ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ.**

შეკვეთა 86435. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ. 29. უე 10676